თარიღი:

შესაბამისობა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან

კრედო ბანკი გამოირჩევა, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაცია, შესაბამისად დიდ ძალისხმევას დებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების მხარდაჭერაში. კომპანიის უმთავრესი ამოცანაა საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხების მხარდაჭერა და საკუთარ მომხმარებლებზე ზრუნვა.

შრომის სტანდარტები

დაუშვებელია ბავშვის შრომა - დაუშვებელია ბავშვების სამსახურში აყვანა. ტერმინი ბავშვი გამოიყენება ყველა პირის მიმართ, რომელიც არ არის 18 წლის. 18 წლამდე ასაკის დასაქმებულის სამუშაო საათები უნდა იყოს შესაბაისობაში საქართველოს შრომის კოდექსთან. დაუშვებელია სამუშაო, რომელმაც თავისი ხასიათით ან პირობებით, რომელშიც ის სრულდება, შეიძლება ზიანი მოუტანოს ბავშვების ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას.

დაუშვებელია იძულებითი შრომა - დაუშვებელია ძალდატანებითი ან იძულებითი შრომის გამოყენება. მომუშავენი არ არიან ვალდებულნი დატოვონ რაიმე ღირებული ნივთი ან საიდენტიფიკაციო დოკუმენტი დამსაქმებელთან და თავისუფალნი არიან მიატოვონ სამსახური შესაბამისი ცნობების შემდგომ.

დაუშვებელია დისკრიმინაცია – დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო.

უსაფრთხო სამუშაო გარემო - მომწოდებლის კომპანიაში დასაქმებულები უნდა უზრუნველყოფილნი იყვნენ უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, სადაც დაცული იქნება ჰიგიენის ნორმები. გარემო უნდა იყოს სუფთა, უსაფრთხო და შესაბამისობაში დასაქმებულის მინიმალურ მოთხოვნებთან.

სამუშაო საათები - მომწოდებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოში, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს, – კვირაში 48 საათს. სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის დარგების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო.

პროფკავშირებში გაერთიანების უფლება - დასაქმებულებს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, აქვთ უფლება გაწევრიანდნენ ან შექმნან პროფესიული კავშირები. აკრძალულია დასაქმებულის დისკრიმინაცია დასაქმებულთა გაერთიანებაში მისი წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო ან/და სხვა ქმედება, რომლის მიზანია: ა)დასაქმებულის სამუშაოზე მიღება ან მისთვის სამუშაოს შენარჩუნება დასაქმებულთა გაერთიანებაში გაწევრებაზე უარის თქმის ან ასეთი გაერთიანებიდან გამოსვლის სანაცვლოდ;
ბ) დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ან მისი სხვაგვარად შევიწროება დასაქმებულთა გაერთიანების წევრობის ან ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის გამო.

გარემოსდაცვითი საკითხები

მომწოდებელი უნდა იყოს შესაბამისობაში საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან და ასევე უნდა ჰქონდეს განსაზღვრული შემდეგი:

- მომწოდებელს უნდა ჰქონდეს სათანადო ნებართვა გარემოს დაცვის დეპარტამენტისგან მისი საქმიანობის ოპერირებისთვის (საჭიროებისამებრ);
- უნდა მოხდეს ნარჩენების მართვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურების თავიდან აცილება;
- მომწოდებელი უნდა ეცადოს მინიმუმადე დაიყვანოს ენერგიის გამოყენება, წყლის, ელექტროენერგიისა და ა.შ;

მომწოდებელი ხელმოწერით ადასტურებს და ეთანხმება, რომ გაეცნო და შესაბამისობაშია მოცემულ დოკუმენტში ჩამოთვლილ საკითხებთან.

ხელმოწერა:

პოზიცია: